საქართველო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

N 37 9

03/01/2020

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტის და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 დეკემბრის №38 193 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) იჯარით ფორმით სარგებლობაში გაიცეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 1850 (ათასრვაასორმოცდაათი) ლარი.

1.3. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი

ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) საგარანტიო თანხა განისაზღვროს ქირის საწყისი წლიური საფასურის (ქირის საწყისი წლიური ოდენობის) 20%–ს ოდენობით.

1.4. ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) ბიჯი განისაზღვროს ქირის საწყისი წლიური საფასურის 10%–ის ოდენობით.

1.5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეწერში მდებარე 143676.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.06.41.244), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

2. თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ვალერიანე ფოცხვერია

მუნიციპალიტეტის მერი